საექსპერტო შეფასება
ანგარიშზე: ქალაქ თბილისში, გაზაფხულის ქ.10-ში, (ს/კ 01.14.15.001.074) ოცდასამსართულიანი საცხოვრებელი სახლის, ორი მიწისქვეშა სართულით და სამსართულიანი, უსარდაფო კომერციული შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა

შპს ''გაზაფხული რეზიდენსი"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2026 წლის თებერვალში შემოწმებულია ქალაქ თბილისში, გაზაფხულის ქ.10-ში, (ს/კ 01.14.15.001.074) ოცდასამსართულიანი საცხოვრებელი სახლის, ორი მიწისქვეშა სართულით და სამსართულიანი, უსარდაფო კომერციული შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქალაქ თბილისში, გაზაფხულის ქ.10-ში, (ს/კ 01.14.15.001.074) ოცდასამსართულიანი საცხოვრებელი სახლის, ორი მიწისქვეშა სართულით და სამსართულიანი, უსარდაფო კომერციული შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს "გეოლოგიური მომსახურეობა"-ს გეოლოგთა ჯგუფის მიერ 2024 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი დ. თედორაძე. მის მიერ მოხდა: საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური შესწავლა, დამუშავდა რაიონის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა, ჩატარდა საველე კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოები. დასკვნის შედგენაში გამოყენებულია სამშენებლო მოედნების მიმდებარე ტერიტორიებზე წინა წლებში, საქართველოს გეოლოგიური სამსახურის და სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევების შედეგები, სამშენებლო კლიმატოლოგიის და სეისმური დარაიონების მონაცემები.

გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად გამონამუშევრებიდან აღებულია ნიმუშები, რომლებზეც შესრულებულია შესაბამისი კვლევები შპს "გეოლოგიური მომსახურები"-ს და „წყალი და გრუნტი"-ს ლაბორატორიებში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 13 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. მიმოხილვითი რუკა ..... 1 გვ;
4. აეროფოტო ..... 1 გვ;
5. გრუნტების კვლევის შედეგები ..... 2 გვ;
6. წყლის სანიტარულ ქიმიური ანალიზის შედეგები ..... 5 გვ;
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 11 ფურც;
8. გეოლოგიური ჭრილი ..... 5 ფურც;
9. გენგეგმა სამთოგამონამუშევრების დატანით..... 1 ფურც;
10. ფოტომასლა ..... 6 ფოტო.

ტექნიკური დავალებით მიხედვით გათვალისწინებულია ოცდასამსართულიანი საცხოვრებელი სახლის, ორი მიწისქვეშა სართულით და სამსართულიანი, უსარდაფო, კომერციული შენობის მშენებლობა. საკვლევი ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 900 მ^2. საძირკვლის ტიპი დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის შედეგებზე. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით IV.

სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, გაზაფხულის ქუჩის 10 ნომერში. ნაკვეთი 506-510 მეტრი აბსოლუტური ნიშნულების ფარგლებში მდებარეობს. შენობები დაახლოებით 507 მეტრის ფარგლებში დაიდგმება. საკვლევი ტერიტორიის ცენტრალური ნაწილის კორდინატებია (WGS-84-ის მიხედვით): X-478435, Y-4619890.

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის, მისი გეოლოგიური ჭრილებისა და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, გაზ-66-ის ძარაზე დამონტაჟებული უგბ-50-ის საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 4

ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 66.00 გრძ.მეტრი. და jsb-ის მარკის ექსკავატორით ძირითადი ქანების წოლის ელემენტების უკეთესი ვიზუალური შესწავლისთვის 7 შურფი, საერთო სიღრმით 28 გრძ.მ. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად გამონამუშევრებიდან აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები, ასევე წყლის სინჯები, მათი ქიმიური შედეგენილობის და აგრესიულობის დადგენის მიზნით, შერჩეულ ნიმუშებზე ჩატარდა შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გამოყოფილია შემდეგი ფენები:

1. **ფენა N1 - ტექნოგენური ფენა,** სიმძლავრით 1,45-5,60 მ-მდე;
2. **ფენა N2 - სგე I -** ელუვირებული ძირითადი ქანები **ღორღოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით;** გავრცელებულია 6-7 შურფებში და 8-11 ჭაბურღილებში მეორე ფენად, ტექნოგენური ფენის ქვეშ, 2,40-3,70მ სიმძლავრით;

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

- სიმკვრივე ρ=2,07 გ/სმ^3;
- შინაგანი ხახუნის კუთხე φ^0 31;
- კუთრი შეჭიდულობა $C_{კპა}$ (კგძ/სმ^2) 1(0,01)
- დეფორმაციის მოდული E=350კგძ/სმ^2;
- პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro = 350$_{კპა}$ (3,5კგძ/სმ^2);
- პუასონის კოეფიციენტი μ=0,27

3. **ფენა N3 - სგე II - სუსტად გამოფიტული ქვიშაქვების და გამოფიტული არგილიტების მორიგეობა.** გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე, 1-5 შურფებში მეორე, ხოლო 6-11 გამონამუშევრებში მესამე ფენად, მთელ დაძიებულ სიღრმემდე; ქანების შრეები დახრილია სამხრეთით, დახ. აზიმუტი 170-180^0, სადაც შრეთა დახრილობა ჰორიზონტის მიმართ 25-30 გრადუსის ფარგლებში მერყეობს;

გრუნტის ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლებია:

- სიმკვრივე ρ =2,16 გ/სმ^3 ;
- წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე Rc=85,07 კგ/სმ^2
- შეჭიდულობა C=700კპა
- შიგა ხახუნის კუთხე φ=27^0
- დრეკადობის მოდული წყალნაჯერ მდგომარეობაში 19000 კგ/სმ^2
- პუასონის კოეფიციენტი 0,25

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ უბანზე გრუნტის წყლები ძირითადი ქანების შრეებრიობას მოუყვებიან და გამოდიან ზედაპირზე, კვლევის დროს გრუნტის წყლები შემოვიდა ყველა გამონამუშევარში, სხვადასხვა ინტენსივობით. გრუნტის წყლების ფორმირება განპირობებულია, როგორც ატმოსფერული ნალექების ასევე ნაკვეთის მიმდებარედ არსებული ხევიდან ინფილტრირებული წყლებით, აღნიშნული ხევის წყალი შედის დახურულ კოლექტორში. აგრესიულობის თვალსაზრისით განსახილველი წყლის სინჯები სულფატების შემცველობის მხრივ ბეტონის მიმართ აგრესიულობას არ ავლენენ. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯების აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც "არა", ხოლო პერიოდული დასველებით – "სუსტი". იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც "საშუალო".

საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება 8-ბალიან სეისმურ რაიონს, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17. სამშენებლო ფართზე გავრცელებული ფუძე-გრუნტები მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

ტერიტორია, გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მიეკუთვნება მაღალი და საშუალო საშიშროების ზონას. ამჟამინდელი მდგომარეობით, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიაზე ისეთი არახელსაყრელი მოვლენები, როგორიცა მეწყერი, შვავი, კარსტი, არ აღინიშნება. თუმცა, არახელსაყრელი ფაქტორებია: ძირითადი ქანების შრეების და რელიეფის დახრის თანხვედრა და გრუნტის წყლები. თავისი გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე უბანი

განეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას. ჩატარებული კვლევების საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციებს: გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე და გეომორფოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით, ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება შესაძლებელია განხორციელდეს მოცემული პირობებისთვის დაფუძნების ოპტიმალური ვარიანტის - საყრდენი ხიმინჯოვანი საძირკვლების, ან კომბინირებული - ხიმინჯებისა და ფილის გამოყენებით. თუმცა ეს საკითხი საბოლოო ჯამში მაინც კონსტრუქტორის პრეროგატივაა და უნდა გადაწყდეს სათანადო გათვლების შემდგომ. ანგარიშში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რელიეფის დახრილობა და ძირითადი ქანების შრეების დახრილობა თანხვედრილია (ორივე სამხრეთულია). ეს ნიშნავს, რომ: ბუნებრივ მდგომარეობაში ფერდი ზღვრულ წონასწორობაშია, მაგრამ ნებისმიერი ტექნოგენური ჩარევა (მაგალითად, ფერდის მოჭრა საძირკვლისთვის) წარმოადგენს რისკ-ფაქტორს, რამაც შეიძლება ფერდი არამდგრად მდგომარეობაში გადაიყვანოს. ამ მონაცემების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფერდის დამჭერი ღონისძიებების გატარებას მშენებლობის პროცესში, რათა თავიდან იქნას აცილებული შრეების დაცურება. უშუალოდ შენობის საძირკვლების მოწყობამდე, უნდა განხორციელდეს ტერიტორიის წინასწარი მომზადება, უნდა შესრულდეს ზედა მოსაზღვრე ნაკვეთის გამიჯვნა-გამაგრება ხიმინჯებით ან რ/ბ კედლით. ტერიტორიაზე ფერდის მოჭრისას ბუნებრივი დაფერდების კუთხის რეკომენდებული ქანობებით ვერშესრულებისას, უნდა ჩატარდეს გამაგრებითი კონსტრუქციული ღონისძიებები - საყრდენი კედლები, ხიმინჯები და ა. შ. უცილებელია ნაგებობის გარშემო მოეწყოს პერიმეტრული სადრენაჟო სისტემა, რათა მოხდეს ატმოსფერული და ზედაპირული ფენის წყლების დროული მოცილება საძირკვლის ზონიდან. საჭირო გახდება წყალდაწევაც. მშენებლობის ორგანიზების პროექტში აუცილებლად უნდა ჩაიდოს მოთხოვნა, რომ წყალდაწევის რეჟიმი იყოს კონტროლირებადი და სადრენაჟო წყლებთან ერთად არ ხდებოდეს გრუნტის მყარი ნაწილაკების გამოტანა (წყალი უნდა იყოს გამჭვირვალე). რადგან წყალი ხევიდან და კოლექტორიდან შემოდის, მისი ქიმიური შემადგენლობა შეიძლება სეზონურად შეიცვალოს (მაგალითად, ზამთარში გზებზე დაყრილი მარილების ხარჯზე), რაც აგრესიულობას გაზრდის. ქვაბულის ღობის (ხიმინჯოვანი კედლის) მოწყობისას გამოყენებულ იქნას ინექტირება

(ცემენტაცია/სილიკატიზაცია), რათა შეიქმნას წყალგაუმტარი ფარდა ხევის მხრიდან. ეს მინიმუმამდე დაიყვანს სამშენებლო მოედანზე წყლის შემოდინების სიჩქარეს და, შესაბამისად, სუფოზიის რისკს. მშენებლობის განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ სარეკომენდაციო ღონისძიებების გატარების შემდგომ. საძირკვლების მოსაწყობად გაყვანილი ქვაბული მიღებულ იქნეს კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციის ინჟინერ გეოლოგის მიერ.

დასკვნა

ქალაქ თბილისში, გაზაფხულის ქ.10-ში, (ს/კ 01.14.15.001.074) ოცდასამსართულიანი საცხოვრებელი სახლის, ორი მიწისქვეშა სართულით და სამსართულიანი, უსარდაფო კომერციული შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული მცირე შენიშვნები ავტორის მიერ მიღებულია მხედველობაში და შეტანილია სათანადო შესწორებები. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი,პროფესორი: */ია მშვიდობაძე/*

Ia Mshvidobadze 01024023058
Digitally signed by Ia Mshvidobadze
Date: 2026.02.03 00:39:35

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.57,ბ.7
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iamshvidobadze@gmail.com
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა; 1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით;
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი, აკადემიური დოქტორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 -2024 წლებში შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები,	**გამოქვეყნებული მაქვს ერთი მონოგრაფია, 37 სამეცნიერო შრომა, 9 მეთოდური მითითება და სახელმძღვანელო:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (ცვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **საშუალებით".**
სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა	**აღებული მაქვს პატენტი გამოგონება "ბეტონის საყრდენი კედლების კონტრფორსების მოწყობა ჰორიზონტალურად განლაგებული ხიმინჯების საშუალებით.** **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს :** "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. #103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ #064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; 2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულში, კოოპერატივ `ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარიში 2018წ;ქ. თბილისში, ოჟიოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი #20, ნაკვ. #01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; "ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.#90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ; ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა."2019.და სხვა. **საექსპერტო შეფასება ანგარიშზე: "საშუალა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ**.გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სასილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020.ქ. თბილისში, ვაზისუბნის, III მკრ. II კვ. კორ. #16-ის მიმდებარედ, ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები2020. ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა #15-ში, ნაკვ. #86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"2020**. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით 2020-2025 წლებში ათეულობით საბავშო ბაღის, სკოლისა თუ პროფესიული სასწავლებლის მშენებლობისათვის გეოლოგიური დასკვნების ექსპერტიზები; ასევე I-II-III, თუ IV კატეგორიის შენობა ნაგებობებისათვის: მაღალი ძაბის საჰაერო ხაზების, გადამცემი ანძების, წყალმიმღები სატუმბი საჰაერო ხაზების, ელექტროსადგურების, მრავალსართულიანი საცხვრებელი სახლებისათვის თბილისსა, თუ ბათუმში, შესრულებული გეოლოგიური საექსპერტო შეფასებები;"მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II საქართველო" -ს ფარგლებში (კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები) შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საექსპერტო შეფასებები 2022წ. და სხვა მრავალი.**
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით

მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის 5 სექტემბერი
წყალმეცნიერების ჰიდროგეოლოგიის ინჟინრული გეოლოგიის
და გარემოსდაცვითი კვლევების ინსტიტუტის
ბ 04 06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი № 3 28.05.2003)

ი ა შ ვ ი ლ ი ძ ე ს

მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გაიცა
საქართველოს სრულიად კვლევების საბჭოს

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სრულიად კვლევების საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003
Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences
By decision of the Dissertation Board ბ 04 06 №5
(Protocol № 3 of 28.05.2003)

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES
Geological - Mineralogical 04.00.07,
WAS CONFERRED ON
Ia Shvelidze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze

დიპლომი

ЛВ № 055149

ეს დიპლომი მიეცა [illegible]

[illegible]

[illegible] 1979 წელს შეიტანა.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] 1984 წ.

[illegible] 28 [illegible] 1984 [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] № 1677

Грузинский кн.



ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан Мшвидобадзе Ия Назаревне

в том, что она в 1979 году поступила в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1984 году окончила полный курс [illegible] института по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от 28 июня 1984 г. Мшвидобадзе И.Н. присвоена квалификация инженера строителя.

Председатель Государственной экзаменационной комиссии [illegible]

Ректор [illegible]

Секретарь [illegible]

М. П.

Город Тбилиси „28" 6 1984 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Гознака. 1983.


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ია
IA
გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01024023058
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
21.10.1962
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
06.10.2032
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
20IF97147


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.10.2022
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2021
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGEO20IF97147701024023058<<<<
6210216F3210064GEO<<<<<<<<<<<5
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<